განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“
საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ვინაიდან, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის, პარტიული სიების წარდგენისას სავალდებულო იქნება სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კანდიდატებს შორის არანაკლებ ყოველი მესამე განსხვავებული სქესის კანდიდატად წარდგენა, წახალისების ფორმა აღარ არის საჭირო.

იმ პარტიებს, რომლებიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდგომ ამგვარ დანამატს იღებენ, შეუნარჩუნდეთ დანამატი, მორიგი/რიგგარეშე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგების გამოცხადების დღემდე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის, პარტიული სიების წარდგენისას სავალდებულო იქნება სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კანდიდატებს შორის არანაკლებ ყოველი მესამე განსხვავებული სქესის კანდიდატად წარდგენა. ამასთან დაკავშირებით, წახალისების ფორმა უნდა გაუქმდეს.

პარტიები, რომლებიც დანამატს იღებენ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდგომ, შეუნარჩუნდეთ დანამატი, მორიგი/რიგგარეშე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგების გამოცხადების დღემდე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის, პარტიული სიების წარდგენისას სავალდებულო იქნება სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კანდიდატებს შორის არანაკლებ ყოველი მესამე განსხვავებული სქესის კანდიდატად წარდგენა. აქედან გამომდინარე, წახალისების ფორმა გაუქმდება.

პარტიები, რომლებიც დანამატს იღებენ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდგომ,

შეუნარჩუნდებათ დანამატი, მორიგი/რიგგარეშე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგების გამოცხადების დღემდე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელ ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებულიკონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორი: თამაზ კრავეიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან, საქართველოს პარლამეტის წევრები: თეიმურაზ ჭკუასელი; ნანა ყეინიშვილი.